პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 17 ივნისი, 1950 წ. № 128 (8688). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში — 1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები. საინფორმაციო ცნობები ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს 16 ივნისის სხდომების შესახებ (1-ლი გვერდი).

კამათი სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო — დეპუტატ ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის სიტყვა (მე-3 გვერდი).

მოსკოვიდან გაემგზავრა ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ურხო კეკონენი (1-ლი [illegible]). ბ-ნ კეკონენის განცხადება (1-ლი გვერდი).

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის სიიძო ტოკუდას განცხადება (მე-4 გვერდი).

სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის

ჩვენი ახალგაზრდობა გარემოსილია ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით. მას ყველა პირობა აქვს სწავლისათვის, მეცნიერების დაუფლებისათვის.

წელს საქართველოს სკოლებმა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. ამას ადასტურებს ამჟამად მიმდინარე გამოცდები სკოლებში. გამოცდებზე თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, გორის, ზუგდიდის და სხვა ქალაქებისა და რაიონების სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობამ მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა გვიჩვენა. მარტო თბილისის საშუალო სკოლების მეთერთმეტე კლასის 1.887 მოსწავლიდან ქართული ენისა და ლიტერატურის წერითს საგამოცდო ნამუშევარში მხოლოდ ხუთმა მიიღო 3-იანზე დაბალი შეფასება, ხოლო 4-იანი და 5-იანი შეფასება მიიღო 1.037 მოსწავლემ. ასევე კარგი ცოდნა გვიჩვენეს მოსწავლეებმა სხვა საგნებშიც და სხვა კლასებშიც.

მიმდინარე სასწავლო წელს მოპოვებულ წარმატებათა განსამტკიცებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოემზადებიან სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სასწავლო წლისათვის მზადებას, სკოლების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მოსწავლეთა სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფას.

ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი ნაწილი ხმარდება სახალხო განათლებას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ამხანაგმა ა. გ. ზვერევმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ 1950 წლის ბიუჯეტით „სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის გათვალისწინებული 120,7 მილიარდი მანეთი საერთო თანხიდან განათლებაზე დაიხარჯება 59,5 მილიარდი მანეთი“.

მოზარდი თაობის აღზრდისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის საუკეთესო პასუხია ის დიდი სახალხო მოძრაობა, რაც ყოველწლიურად ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დაწყებიდანვე ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სკოლების უზრუნველსაყოფად შენობებით, ინვენტარითა და სხვა საჭირო მოწყობილობით. ამ მხრივ აღსანიშნავია თელავის რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სოციალისტური ვალდებულებანი, რაც ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 20 მაისის ნომერში დაიბეჭდა. თელაველები კისრულობენ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი მოაწყონ სკოლაში, შეაკეთონ სასკოლო შენობები და ინვენტარი, ახალი ხელსაწყოებით გაამდიდრონ სასწავლო კაბინეტები და ლაბორატორიები, დაამზადონ და სკოლებში დროულად მიზიდონ ზამთრისათვის საჭირო შეშა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, მოსწავლეთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ მუშაობას.

თელაველთა პატრიოტულმა ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ყველა რაიონში. გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ქალაქ გორისა და გორის რაიონის მშრომელთა პასუხი თელაველთა თაოსნობაზე. გორელები იწონებენ თელავის რაიონის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივას და თავიანთ მხრივ კისრულობენ კონკრეტულ ვალდებულებებს.

თელაველთა ინიციატივის საფუძველზე მზადება ახალ სასწავლო წლისათვის გაიშალა ქალაქ ქუთაისში, ხაშურის, მახარაძის, სიღნაღის, ლენინგორის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ორჯონიკიძის, ლანჩხუთის და სხვა რაიონებში.

მთელ საქართველოში ფართოდ ჩაღდება მშრომელთა საყოველთაო-სახალხო მოძრაობა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების ყოველმხრივ მოსამზადებლად. ახლა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების საბრძოლო ამოცანაა სათავეში ჩაუდგნენ მშრომელთა პატრიოტულ თაოსნობას, მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი რესურსები, დროულად აითვისონ სკოლების მშენებლობისა და რემონტისათვის გათვალისწინებული თანხები. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, სასკოლო შენობებისა და ინვენტარის შეკეთება არ შეიძლება მხოლოდ სკოლების დირექტორთა და სახალხო განათლების ორგანოთა საქმედ მივიჩნიოთ. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებაში მათ აქტიური დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და სასოფლო საბჭოებმა.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად პატრიოტული ვალდებულებები იკისრეს სამეურნეო ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობებმა. ისინი მზად არიან სახალხო განათლების ორგანოებს დაეხმარონ სასკოლო შენობებისა და ინვენტარის კაპიტალური და მიმდინარე რემონტის შესასრულებლად, შეშით და საჭირო საამშენებლო მასალებით სკოლების უზრუნველსაყოფად.

მიღებულია ცნობები, რომ ამ მხრივ მუშაობას უკვე შეუდგნენ თელავის რაიონის სოფელ ფშავლის მე-18 პარტყრილობის სახელობისა და სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობები, მახარაძის რაიონის ნატანების ბერიას სახელობისა და შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები, ზუგდიდის რაიონის ახალი სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტი და მრავალი სხვა სამეურნეო ორგანიზაცია. მათ თავიანთი დანაზოგებიდან უკვე გამოყვეს სკოლებისათვის საჭირო საამშენებლო მასალები, გარდა ამისა დაგეგმეს კიდევ რა სახის დახმარების გაწევა შეუძლიათ სასკოლო შენობების რემონტისა და ინვენტართა დამზადების საქმეში, პრაქტიკულად ეხმარებიან სკოლებს სათბობის მომარაგებაში, სკოლების ეზოების, სასკოლო ნაკვეთების კეთილმოწყობაში.

მხარი დავუჭიროთ სკოლისათვის საყოველთაო-სახალხო დახმარების ინიციატორებს, ფართოდ გავაჩაღოთ მზადება ახალი სასწავლო წლისათვის, შევქმნათ ყველა პირობა კომუნიზმის მშენებელი თაობის ღირსეულად აღზრდისათვის, — ასეთია პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სახალხო განათლების ორგანოების საბრძოლო ამოცანა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ*

IV

მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების მოსავლის აღება და დამზადება

(გაგრძელება)

30. დაევალოს დამზადებათა სამინისტროს უზრუნველყოს მტს-ების მუშაობის ნატურსაზღაურის დასარიცხავად მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის თანრიგებისადმი კოლმეურნეობათა მიკუთვნება ციმბირის, ურალის, ყაზახეთის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში ორი კვირის ვადაში, ხოლო ყველა დანარჩენ ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში — ერთი დეკადის ვადაში მოსავლიანობის გამომკვლევი სარაიონთაშორისო ინსპექტორებისაგან მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ცნობების მიღების შემდეგ, და დღეღამის განმავლობაში მტს-ების დირექტორებს გადასცენ ცნობა მოსავლიანობის თანრიგებისადმი კოლმეურნეობათა მიკუთვნების შესახებ.

მტს-ების დირექტორებმა უზრუნველყონ კოლმეურნეობებისათვის მტს-ების მუშაობის ანაზღაურების ანგარიშების გადაცემა არა უგვიანეს ხუთი დღის ვადისა მოსავლიანობის თანრიგებისადმი კოლმეურნეობათა მიკუთვნების შესახებ დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულისაგან ცნობის მიღების შემდეგ, ხოლო პურის მოპკის, კომბაინით აღების, გალეწვის, მარცვლის გაწმენდისა და გადმოზიდვისათვის — არა უგვიანეს 10 დღისა ამ სამუშაოთა შესრულების დღიდან.

დაევალოს მტს-ების დირექტორებს, კოლმეურნეობებისათვის მოსავლიანობის თანრიგთა დაწესებამდე მოსავლის აღების დაწყებამდე თვითეულ კოლმეურნეობას, რომელსაც მომსახურებას უწევს მტს-ი, გადასცენ მტს-ის მუშაობისათვის ნატურსაზღაურის საავანსო ჩაბარების ანგარიში.

გაფრთხილებულ იქნენ მტს-ების დირექტორები, რომ ისინი პასუხისმგებელი არიან სახელმწიფოს წინაშე მტს-ების მუშაობისათვის ნატურსაზღაურის სწორი და დროზე დარიცხვისა და სრულად გადახდევინებისათვის, კოლმეურნეობებისადმი ანგარიშების დაწესებულ ვადებში გადაცემისათვის და გადაცემული ანგარიშების მიხედვით კოლმეურნეობათა მიერ მარცვლეულისა და სხვა კულტურის ჩაბარებისათვის, ხოლო დამზადებათა სამინისტროს რაიონული რწმუნებულები პასუხისმგებელი არიან ნატურსაზღაურის სრული გადახდევინებისათვის სახელმწიფოსათვის სავალდებულო ჩაბარებათა გეგმის შესრულების თანაბრად.

31. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სასელექციო სადგურების, სამეცნიერო-საცდელი დაწესებულებების, ელიტური მეთესლეობის მეურნეობების ხელმძღვანელებს „გლავზაგოტზერნოს“ დამამზადებელ პუნქტებს ჩააბარონ ელიტის თესლის მთელი მოსავალი, გარდა იმ თესლისა, რაც საჭიროა მომავალი წლის თესვის გეგმის შესასრულებლად, ხოლო რაიონული მეთესლეობის მეურნეობებს დაევალოს ჯიშიანი თესლის მთელი მოსავალი ჩააბარონ დაწესებული პირობებით, გარდა სათესლე ნაკვეთებიდან მიღებული თესლისა. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი თესლის საჯიშე ხარისხი უნდა შეეფერებოდეს დაწესებულ კონდიციებს.

32. დაევალოს დამზადებათა სამინისტროს:

ა) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების — რაიონული მეთესლეობის მეურნეობების მიერ ჩაბარებული საჯიშე მარცვლეულის დამზადება აწარმოოს სავალდებულო დამზადებათა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურსაზღაურის ანგარიშში, დამოუკიდებლად საჯიშე თესლის დამზადების გეგმის შესრულებისა; უზრუნველყოს ჯიშებისა და კატეგორიების მიხედვით ჯიშიანი თესლის ცალცალკე შენახვა და არ დაუშვას მათი შერევა, გაუპიროვნება;

ბ) აწარმოოს ცხენსაშენი ქარხნებისა და მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობებისაგან, რომლებმაც შეასრულეს პურის დამზადების გეგმა და შეინახეს სათესლე ფონდები, სასურსათო მარცვლეულის მიღება საფურაჟე მარცვლეულის ნაცვლად, დამოუკიდებლად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებსა და ცხენთსაშენ ქარხნებში მთლიანად პურის ჩაბარების გეგმის შესრულებისა.

33. დაევალოს საბჭოთა, პარტიულ, დამამზადებელ და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დააწესონ კონტროლი იმისადმი, რომ დაცულ იქნას კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობებისათვის შინასამეურნეო მოსახმარებლად მოსავლის აღების დროს დამზადებათა გეგმის შესრულებამდე მარცვლეულის გადარიცხვის წესი: მარცვლეულისა 15 პროცენტი, ბრინჯისა — 10 პროცენტი, მზესუმზირასი—5 პროცენტი, კარტოფილისა და ბოსტნეულის—15 პროცენტი სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში ფაქტიურად ჩაბარებული ამ კულტურების პროდუქციის რაოდენობისა, აგრეთვე იმისადმი, რომ სწორად მიეცეს ავანსები კოლმეურნეებსა და ტრაქტორისტებს გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობის ზუსტი შესაბამისობით.

34. დარჩეს 1950 წლისათვის:

ა) მტს-ების იმ საუბნო მექანიკოსებისათვის ნატურით პრემიების მიცემის 1949 წელს მოქმედი წესი, რომლებმაც უზრუნველყვეს კომბაინით მოსავლის აღების დაწესებული გეგმის კარგი ხარისხით შესრულება, აგრეთვე იმ მანქანების ანაზღაურების წესი, რომლებიც მუშაობენ სალეწებზე სამყურას და იონჯის გასალეწად და თესლის გამოსაშენებლად, სელ-კანაფსასაოები და სელ-კანაფსაჩეჩი მანქანებით მტს-ებში; ეს ანაზღაურება უნდა მოხდეს შრომადღეების მიხედვით არსებული ნორმების შესრულებისათვის ამ სამუშაოებში მათთან მომუშავე ტრაქტორისტების ხელფასის ოდენობით; შრომადღეების დარიცხვისა და ანგარიშსწორების წესი, აგრეთვე ანაზღაურების საგარანტიო ფულადი და ნატურალური მინიმუმი მტს-ების ტრაქტორისტებისათვის დაწესებული ოდენობით;

ბ) საბჭოთა მეურნეობების, სასელექციო სადგურებისა და ცხენთსაშენი ქარხნების ტრაქტორისტთა შრომის ნატურით ანაზღაურების 1949 წელს მოქმედი წესი, რომლის თანახმად კომბაინით აღებაზე მომუშავე ტრაქტორისტები, გარდა ფულადისა, იღებენ ნატურალურ საზღაურს მარცვლეულით მათთან ერთად მომუშავე კომბაინერებისათვის დაწესებული ოდენობით;

გ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1944 წლის 12 აგვისტოს დადგენილების მე-2 პუნქტის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს ჩაწოლილი პურის კომბაინით აღებაზე მომუშავე კომბაინერების, კომბაინერებისა და ტრაქტორისტების თანაშემწეების შრომის ანაზღაურების გადიდებას 40-მდე პროცენტით ნორმალური პურის აღებისათვის არსებულ შეფასებასთან შედარებით, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას, თუ რამდენად ჩაწოლილია პური, და მისი აღების სიძნელე;

დ) ჩაწოლილი პურის აღებისას საწვავის ხარჯის ნორმების გადიდების წესი ტრაქტორებისათვის, რომლებიც მუშაობენ კომბაინებთან და მოსავლის ასაღებ მარტივ მანქანებთან ერთად, და კომბაინების მოტორებისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 ივლისის № 10.000 განკარგულებით.

V

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღება და დამზადება

35. იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნას შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი, დროულად იქნას აღებული ჭარხალი და სახელმწიფოსათვის ჭარხლის ჩაბარების გეგმა აუცილებლად შეასრულოს თვითეულმა მეჭარხლე კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, მეჭარხლეობის ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ ჭარხლის ნათესების გაწმენდა სარეველა ბალახებისაგან, მწკრივთშორისი გაფხვიერება, ჭარხლის ადგილობრივი და მინერალური სასუქით დამატებითი კვება, მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება და სარწყავ ნაკვეთებში ჭარხლის დროულად მორწყვა.

36. დამტკიცდეს შაქრის ჭარხლის ამოღების დამთავრებისა და ქარხნებსა და ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში მიზიდვის შემდეგი ვადები:

	ამოღება	მიზიდვა
უკრაინის სსრ	25 ოქტომბერი	5 ნოემბერი
მოლდავეთის სსრ	1 ნოემბერი	1 დეკემბერი
კურსკის, ვორონეჟის, ტამბოვის, პენზის ოლქები	20 ოქტომბერი	15 დეკემბერი
უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ და ყირგიზეთის სსრ	15 ნოემბერი	15 დეკემბერი
საქართველოს სსრ, სომხეთის სსრ და კრასნოდარის მხარე	10 ნოემბერი	1 დეკემბერი
ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ და ბელორუსიის სსრ	20 ოქტომბერი	1 ნოემბერი
ალტაისა და კრასნოიარსკის მხარეები, ნოვოსიბირსკის ოლქი და ბურიატ-მონღოლეთის ასსრ	10 ოქტომბერი	1 ნოემბერი
მეჭარხლეობის დანარჩენი რაიონები	20 ოქტომბერი	20 ნოემბერი

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ჭარხლის მთესველი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების სამხარეო და საოლქო აღმასკომებმა, დაამტკიცონ ჭარხლის ამოღების დაწყების ვადები რაიონების მიხედვით, ხოლო რაიონებში კოლმეურნეობების მიხედვით და შაქრის ქარხნების ამუშავების დაწყებისათვის უზრუნველყონ სულ ცოტა ხუთი დღეღამის ჭარხლის მარაგი ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში და ჭარხლით შაქრის ქარხნების შემდგომი შეუფერხებელი მომარაგება.

37. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და მეჭარხლეობის რაიონების საოლქო (სამხარეო) აღმასკომებს:

ა) უზრუნველყონ არა უგვიანეს 1950 წლის 5 აგვისტოსი მტს-ებსა და კოლმეურნეობებში არსებული ჭარხლის კომბაინების, ჭარხლის სათხრელი მანქანების, ინვენტარის რემონტის დამთავრება და მომზადება, შაქრის ჭარხლის აღებაზე მათი სრული გამოყენება;

ბ) მოაწყონ დაგროვებული ჭარხლის გაზიდვა ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში, როგორც წესი, ამოღების დღეს, ხოლო გაუზიდავი ჭარხალი დააწყონ მინდვრის კაგატებად და კარგად დახურონ.

38. დატოვებულ იქნას 1950 წლისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 11 ოქტომბრის № 3541 დადგენილებით შემოღებული წესი შაქრის ქარხნების მიერ კოლმეურნე მეკაგატეებისათვის შაქრის შეღავათიან ფასად მიყიდვისა მინდვრის კაგატებად დაწყობილ და შაქრის ქარხნებისათვის ჩაბარებამდე კარგად შენახულ ჭარხალში.

დატოვებულ იქნას აგრეთვე არსებული დამატებითი ფასი 25 კაპიკი კოლმეურნეობებისათვის მინდვრის კაგატებად დაწყობილი თვითეული ცენტნერი შაქრის ჭარხლისათვის და რჩევა მეე-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

*) დასასრული. დასაწყისი იხ. № 127.

მოსკოვიდან გაემგზავრა ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ურხო კეკონენი

15 ივნისს მოსკოვიდან გაემგზავრა ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ურხო კეკონენი.

ბ-ნ უ. კეკონენთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრნენ ფინეთის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ბ-ნი ო. ტუომიოია და ფინეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები ბ-ნები ტ. კუიილა, ი. ნიუკოპი, ო. ორკომიესი.

მიმავალნი ცენტრალურ აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მ. ა. მენშიკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ფინეთში ბ. ე. კრასნოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების სამმართველოს უფროსმა ა. ა. პავლოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 ევროპული განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელმა პ. დ. ორლოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგემ თ. თ. მოლოჩკოვმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნების სამმართველოს განყოფილების უფროსმა მ. ქ. არტემიევმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსმა ნ. ი. კუზმინსკიმ.

მიმავალნი გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირში ფინეთის მისიის წევრებმა დესპან ბ-ნ კ. სუნდსტრემის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა.

მათთან ერთად მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ფინეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით. (ტასი).

ბ-ნ ურხო კეკონენის განცხადება

მოსკოვიდან გამგზავრებისას ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ურხო კეკონენმა აეროდრომზე მიკროფონის წინ შემდეგი განცხადება გააკეთა:

„მივდივარ რა მოსკოვიდან, მოხარული ვარ მადლობა მოვახსენო საბჭოთა მთავრობას ამ დღეებში ფინეთის სავაჭრო დელეგაციისადმი განსაკუთრებით გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმება, რასაც აქ ხელი მოვაწერეთ, ყველაზე დიდი სავაჭრო შეთანხმებაა, რომელიც კი ოდესმე დაუდვია ფინეთს. ეს შეთანხმება უზრუნველყოფს სამუშაოს ათეულ ათასობით ფინელი მუშისათვის. ამიტომ ჩვენ ფინელები კმაყოფილი ვართ ამ შეთანხმებისა და განუხრელად შევასრულებთ მას.

ჩვენ ვიცით, რომ ეს შეთანხმება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მშვიდობისა და მეგობრობის იმ პოლიტიკის განგრძობას, რომელიც ორი წლის წინათ გამოცხადდა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1950 წლის 16 ივნისის სხდომის შესახებ

16 ივნისს, დილის 11 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, შედგა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. შაიახმეტოვი.**

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენების გამო სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ი. ა. კაიროვი** (კალინინის საარჩევნო ოლქი, რსფსრ), დეპუტატი **ი. ა. აფანასიევი** (ჩებოკსარის საარჩევნო ოლქი, ჩუვაშეთის ასსრ), **ნ. ა. სკვორცოვი** (სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი), დეპუტატი **ა. პ. გაზაევი** (ალაგირის საარჩევნო ოლქი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ), დეპუტატი **ზ. ნ. კეცხოველი** (სტალინირის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ), დეპუტატი **ვ. ქ. შიშონკოვი** (პრილუზის საარჩევნო ოლქი, კომის ასსრ), დეპუტატი **გ. ბ. ალექიანი** (კოტაიკის საარჩევნო ოლქი, სომხეთის სსრ), დეპუტატი **ნ. დედხუდოევი** (მურგაბის საარჩევნო ოლქი, მთიანი ბადახშანის ავტონომიური ოლქი), დეპუტატი **ი. ი. ტურიანიცია** (უჟგოროდის საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ), დეპუტატი **ს. ზ. ბორისოვი** (ნიურბის საარჩევნო ოლქი, იაკუტიის ასსრ), დეპუტატი **ტ. კულატოვი** (უზგენის საარჩევნო ოლქი, ყირგიზეთის სსრ).

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1950 წლის 16 ივნისის სხდომის შესახებ

16 ივნისს, საღამოს 6 საათზე, კრემლში, კრემლის დიდ სასახლეში, შედგა კავშირის საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **მ. ა. იასნოვი.**

კავშირის საბჭოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენების გამო სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. კამათში გამოვიდნენ: დეპუტატი **ა. ტ. ვეიმერი** (რაკვერეს საარჩევნო ოლქი, ესტონეთის სსრ), დეპუტატი **ა. ი. ევდოკიმოვა** (კოსტრომის საარჩევნო ოლქი, კოსტრომის ოლქი), **ი. ა. ბენედიქტოვი** (სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი), დეპუტატი **ტ. ი. ყულიევი** (საბირაბადის საარჩევნო ოლქი, აზერბაიჯანის სსრ), დეპუტატი **ნ. ი. ბელიაევი** (ბარნაულის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ალტაის მხარე), დეპუტატი **დ. რასულოვი** (კულიაბის საარჩევნო ოლქი, ტაჯიკეთის სსრ), დეპუტატი **ა. ა. ბელიანსკი** (კიროვის საქალაქო საარჩევნო ოლქი, კუიბიშევის ოლქი), **ა. თ. ზასიადკო** (სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი), დეპუტატი **ი. პ. ოსტროვი** (კულდიგის საარჩევნო ოლქი, ლატვიის სსრ), დეპუტატი **დ. გ. სმირნოვი** (გორკის ლენინის საარჩევნო ოლქი, გორკის ოლქი), დეპუტატი **შ. გ. ბატიროვი** (მარის საარჩევნო ოლქი, თურქმენეთის სსრ).

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს მეოთხე სხდომა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ

(გაგრძელება)

ცეთ კოლმეურნეობებს ეს სახსრები გაუნაწილონ კოლმეურნეებს, რომლებიც მუშაობენ მინდვრის კაგატებად ჭარხლის დაწყობასა და კაგატების მოვლაზე.

39. დაწესდეს დამამზადებელ პუნქტებსა და შაქრის ქარხნებში 1950 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის მიზიდვის გეგმა 215 მილიონი ცენტნერის რაოდენობით, აქედან:

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტით	100 მილიონი ცენტნერი
კოლმეურნეობებისა და გლეხური მეურნეობების საჭაპანო ტრანსპორტით	25 მილიონი ცენტნერი
კოლმეურნეობათა საავტომობილო ტრანსპორტით	25 მილიონი ცენტნერი
რესპუბლიკათა საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების საავტომობილო ტრანსპორტით	15 მილიონი ცენტნერი
დამზადებათა სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტით (მათ შორის 30 მილიონი ცენტნერი უკრაინის სს რესპუბლიკაში)	45 მილიონი ცენტნერი
ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში შაქრის ჭარხლის გამოსაზიდად მობილიზებული ადგილობრივი ორგანიზაციების საავტომობილო ტრანსპორტით	5 მილიონი ცენტნერი

დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს არა უგვიანეს 1950 წლის 1 აგვისტოსი გააცნონ შაქრის ჭარხლის გამოზიდვის დაწესებული გეგმა ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს.

40. დაევალოს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს:

ა) დაამტკიცონ თვითეული ორგანიზაციისათვის, რომელიც მონაწილეობას იღებს შაქრის ჭარხლის გამოზიდვაში, ჭარხლის საჭაპანო და საავტომობილო ტრანსპორტით გამოზიდვის ხუთდღიური დავალებანი, აგრეთვე თვითეული მანქანის სეზონური დავალება, ამასთან მტკიცე კონტროლი გაუწიონ დავალებათა შესრულებას;

ბ) დააწესონ შაქრის ჭარხლის გამოზიდვაზე კოლმეურნეობების ცოცხალი გამწევი ძალით მომუშავე კოლმეურნეობებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობათა ავტომანქანებზე მომუშავე შოფერებისათვის ჭარხლის გამოზიდვის სეზონური ნორმები და ვადები, ამასთან გაითვალისწინონ მანძილი ჭარხლის მინდვრებიდან ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებამდე;

გ) გაათავისუფლონ შაქრის ქარხნებისა და ჭარხლის ბაზების ავტოტრანსპორტი სხვა გადაზიდვათაგან ჭარხლის გამოზიდვის დაწყებამდე 15 დღით ადრე.

აკრძალულ იქნას ჭარხლის გადასაზიდავად გამოყოფილი ავტომანქანების სხვა გადაზიდვებზე გამოყენება, სანამ ჭარხლის გამოზიდვა დამთავრდებოდეს.

41. დაევალოს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს შაქრის ჭარხლის მასობრივი მიღების პერიოდისათვის დააწესოს დამამზადებელი პუნქტების სადღეღამისო მუშაობა ჩამბარებელთაგან შაქრის ჭარხლის მისაღებად.

გზათა სამინისტრომ უზრუნველყოს ჭარხლის ჩასატვირთავად ვაგონების თავის დროზე მიწოდება იმ რაოდენობით, რაც მთლიანად უზრუნველყოფს შაქრის ჭარხლის გადაზიდვის გეგმის შესრულებას.

42. დაევალოს ცენტროსოიუზს ჭარხლის დამზადების პერიოდისათვის, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით მოაწყოს ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში სასადილოები, საჩაიეები და ფარდულები შაქრის ჭარხლის ჩამბარებელთა მომსახურებისათვის.

VI
ბამბის მოსავლის აღება და დამზადება

43. ბამბის მთესველი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციების, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროსა და მისი ადგილობრივი ორგანოების წინაშე უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახოს 1950 წელს ბამბის უხვი მოსავლის მიღება, მისი აღების მოკლე ვადებში ჩატარება და თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ სახელმწიფოსათვის ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმის აუცილებლად შესრულება.

დაევალოს სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს, ბამბის მთესველი რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს:

ა) მოაწყონ ბამბის ნათესების თავის დროზე და გულდასმით მოვლა, საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალი ხარისხით ჩაატარონ ყველა ძირითადი სამუშაო—მწკრივთა შორის დამუშავება და რწყვა, უზრუნველყონ ბამბის ნათესების სატრაქტორო კულტივაციის გეგმის შესრულება, აგრეთვე ბამბის მავნებლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელება.

ბ) დააწესონ კონტროლი ბამბის რწყვის სწორად მოწყობაზე, არ დაუშვან რწყვის გადიდებული ნორმების გამოყენება და განსაკუთრებით შეტბორებით რწყვა, აგრეთვე წყალსარგებლობის იმ გეგმების დარღვევა, რომლებიც დაწესებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის;

გ) უზრუნველყონ სარწყავი მიწების ბამბის მთელ ნათეს ფართობზე მინერალური სასუქებით ბამბის ნათესების დამატებითი კვების უფრო ადრეულ ვადებში ჩატარება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აზოტოვანი და ფოსფოროვანი სასუქების სწორ შეფარდებას;

დ) არაუგვიანეს 1950 წლის 15 აგვისტოსი მოამზადონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოედნები ნედლი ბამბის მისაღებად, დაამთავრონ სასაწყობო შენობათა რემონტი, გაწმენდა და დეზინფექცია და სავსებით გამზადონ ისინი ახალი მოსავლის ნედლი ბამბის მისაღებად;

ე) ბამბის მოსავლის აღების დასაწყისისათვის დაამთავრონ სასწორების მეურნეობის, ბულულსაწმენდების, გუზას ასაღები მანქანების რემონტი და სრულ წესრიგზე მოიყვანონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და ქარხნების ბამბის ყველა საშრობი, აგრეთვე დაამთავრონ ბამბის ახალი საშრობების მშენებლობა;

ვ) უზრუნველყონ ბამბის მთესველი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბამბის საწმენდი ქარხნებისა და დამამზადებელი პუნქტების მეშვეობით საჭირო რაოდენობის ტომარა-ტარით ნედლი ბამბის გადასაზიდავად, წინასწარებით ბამბის საკრეფად და ნედლი ბამბის სტანდარტის ეტალონებით;

ზ) უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბამბის იმ ფართობების დროულად გამოყოფა, რომლებზეც მოსავალი აღებულ უნდა იქნას მექანიზებული წესით, და მოამზადონ ისინი, ჩაატარონ მუშაობა ბამბის მცენარის ფოთლების მოსაცილებლად, მოამზადონ ბამბის საკრეფი მანქანების მძღოლები და მოაწყონ ბამბის მექანიზებული აღების ტექნიკური მომსახურება, რათა უზრუნველყონ ბამბის ასაღები მანქანების მაღალნაყოფიერად გამოყენება;

თ) უზრუნველყონ ბამბის თავის დროზე კრეფა კოლოფების გაშლისთანავე, არ დაუშვან ხარისხების არევა და შემოუსვლელი ბამბის კრეფა, აგრეთვე მოსავლის დანაკარგები კრეფის, გადაზიდვისა და შენახვის დროს.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბამბის კრეფის ხარისხს, არ დაუშვან მისი დანაგვიანება და უზრუნველყონ, რომ სახელმწიფოსათვის ნედლი ბამბის ჩაბარება შესრულდეს რჩეული, პირველი და მეორე ხარისხით—წლიური გეგმის სულ მცირე 80 პროცენტით უზბეკეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკებში, სულ მცირე 75 პროცენტით ყირგიზეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკებში და სულ მცირე 50 პროცენტით რსფს რესპუბლიკის, უკრაინისა და მოლდავეთის სს რესპუბლიკების ბამბის მთესველ რაიონებში.

სათესლე ბამბის კრეფა და ჩაბარება მოაწყონ საველე აპრობაციის მონაცემების ზუსტი შესაბამისობით, რეპროდუქციების მიხედვით, მოსავლიანობის მხრივ საუკეთესო ნათესებიდან აღებული ყველაზე მომწიფებული და სრულფასოვანი თესლის მინდვრების ჯგუფებად;

ი) უზრუნველყონ, რომ ბამბის აღებაზე გამოყენებულ იქნან ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშა, სწორად მოაწყონ შრომა და მიაღწიონ ბამბის თვითეული მკრეფავის მიერ კრეფის დღიური ნორმების შესრულებას.

44. დაევალოს სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ბამბის მთესველი რაიონების სამხარეო (საოლქო) აღმასკომებსა და რაიაღმასკომებს 15 აგვისტომდე უზრუნველყონ დამამზადებელი პუნქტებისა და ბამბის საწმენდი ქარხნების სრული რემონტის ჩატარება და მათი მომზადება 1950 წლის მოსავლის ბამბის მიღებისა და გადამუშავებისათვის, არაუგვიანეს 1 სექტემბრისა დაამთავრონ ახალი დამამზადებელი პუნქტების, ბამბის შესანახი საწყობებისა და მოედნების მშენებლობა იმ ოდენობით, რაც დაწესებულია 1950 წლის გეგმით, აგრეთვე გამონახონ დამატებითი სასაწყობო შენობები ნედლი ბამბის მისაღებად და შესანახად.

45. დაევალოს დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 1950 წლის 1 ივლისამდე დაუბრუნონ სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს ყველა ის სასაწყობო შენობა, რაც ეკუთვნოდათ ბამბის საწმენდ ქარხნებს, დამამზადებელ პუნქტებსა და სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს სხვა ორგანიზაციებს.

აკრძალოს შემდეგში იმ სასაწყობო შენობების რაიმე სხვა საჭიროებისათვის გამოყენება, რომლებიც განკუთვნილია ბამბის მიღებისა და შენახვისათვის.

VII
სელისა და კანაფის მოსავლის აღება და დამზადება

46. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სელისა და კანაფის მთესველი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უზრუნველყონ საბოჭკოე სელისა და კანაფის ბოჭკოსა და თესლის მოსავლის აღების დროულად მოწყობა და დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება. ამ მიზნით:

ა) უზრუნველყონ საბოჭკოე სელის მოსავლის აღებაზე ყველა სელის საგლეჯი მანქანისა და სელის კომბაინის გამოყენება, მოსავლის აღების დაწყებამდე თვითეულ მტს-სა და კოლმეურნეობაში დააწესონ სელის მანქანებითა და ხელით აღების გეგმა, მანქანებით ასაღებად შეარჩიონ სელის ისეთი ნაკვეთები, რომლებიც გასუფთავებულია სარეველა მცენარეებისაგან და რომლებზეც სელის ღეროები უფრო თანაბარი სიმაღლისაა, ნაკვეთები ნატურით მიამაგრონ თვითეულ სელის კომბაინსა და თვითეულ სელის საგლეჯ მანქანას, მოსავლის აღების დაწყებამდე 5 დღით ადრე მაინც მიიყვანონ სელის კომბაინები და სელის საგლეჯი მანქანები სამუშაო ადგილზე;

ბ) სელის მანქანებით მოსავლის აღებისას კონები დახარისხონ ღეროს სიგრძის მიხედვით, ხოლო ხელით გლეჯის დროს—ფართოდ შემოიღონ დახარისხება ღეროს სიგრძისა და ხარისხის მიხედვით ორმაგი გლეჯის გზით;

გ) მოსავლის აღების დაწყებამდე დააკომპლექტონ საჭირო მუშაკებით სელის ასაღები და კანაფის ასაღები ყველა აგრეგატი;

დ) მოსავლის აღებამდე ორი კვირით ადრე მაინც უზრუნველყონ მასალის დამზადება და საველე სტელაჟების დადგმა კომბაინებით მოსავლის აღებისას სელის ბულულების საშრობად;

ე) უზრუნველყონ მამალი კანაფის სრული გამორჩევა მისი მასობრივი ყვავილობის დროს, ხოლო სამეთესლეო ნათესებში მისი დაყვავილების პერიოდში და დედალი კანაფის აღება თესლის დამწიფებისთანავე, ამასთან არ დაუშვან დანაკარგები;

ვ) მიიღონ ზომები, რათა თვითეულმა კოლმეურნეობამ უზრუნველყოს თავისი საჭიროება საბოჭკოე სელისა და კანაფის თესლით იმის საჭიროების გათვალისწინებით, რომ ამ კულტურების ნათესი ფართობები მომავალ წელს გადიდდეს სათესლე ნაკვეთებიდან აღებული მოსავლის ხარჯზე;

ზ) უზრუნველყონ სელისა და კანაფის მთესველ ყველა კოლმეურნეობაში სელისა და კანაფის საშრობი და საცავი ახალი შენობების აგება და არსებულის რემონტი, რათა თვითეულ კოლმეურნეობას შეეძლოს აწარმოოს სელისა და კანაფის ლეწვა ყოველგვარ ამინდში და უზრუნველყოფილი იყოს საშრობებით სელისა და კანაფის შემოდგომა-ზამთრის პირველადი დამუშავებისათვის;

თ) უზრუნველყონ კანაფის მთესველ ყველა კოლმეურნეობაში არსებული წყალსატევების რემონტი და ახალი წყალსატევების აგება კანაფის თავის დროზე დასალბობად, დაამთავრონ საბოჭკოე სელის მთელი მოსავლის გაფენა და დალბობა არაუგვიანეს 15 სექტემბრისა და კანაფის დალბობა არაუგვიანეს 1950 წლის 1 ოქტომბრისა.

47. დატოვებულ იქნას 1950 წლისათვის სელის ასაღებ კომბაინებზე გამომუშავების ნორმები და კომბაინერთა, მათ თანაშემწეთა და ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურება, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 9 აგვისტოს № 3427 დადგენილებით.

48. შრომის ანაზღაურების ის წესი, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 22 მარტის № 1177 დადგენილებით სელის საგლეჯი მანქანების „ვნიილ—5"-ის მემანქანეებისათვის, გავრცელდეს კანაფის საკონაი მანქანების „ქკკ—2,3"-ის მემანქანეებზე.

49. დაევალოს დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ცენტროსოიუზს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველყონ კოლმეურნეობებისა და სხვა ჩამბარებლების მიერ სახელმწიფოსათვის საბოჭკოე სელისა და კანაფის ბოჭკოს, ლაფნისა და თესლის ჩაბარების საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა შესრულება იმ ოდენობით და იმ ვადებში, რაც დაწესებულია ამ ხელშეკრულებებით.

50. დაევალოს დამზადებათა სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და ცენტროსოიუზს უზრუნველყონ სელისა და კანაფის დამზადების დაწყებამდე ყველა დამამზადებელი პუნქტი და სელისა და კანაფის პირველადი დამუშავების ქარხნები, საბოჭკოე სელისა და კანაფის ჩალის, ლაფნისა და ბოჭკოს ხარისხთა სტანდარტების (ეტალონების) ნიმუშებით და გააცნონ ისინი სელის მთესველ და კანაფის მთესველ კოლმეურნეობებს.

VIII
ლაფნეული კულტურების მოსავლის აღება და დამზადება

51. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ლაფნეული კულტურების მთესველი ოლქებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს:

ა) უზრუნველყონ ჯუტის, კენაფის, შვიისა და ქენდირის ნათესების თავის დროზე და გულდასმით მოვლა, რათა ყველა ძირითადი სამუშაო: მწკრივთა შორის დამუშავება, ნათესების დამატებითი გამოკვება, ხოლო სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში—რწყვა საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარდეს;

ბ) მოაწყონ მეთვალყურეობა ჯუტის, კენაფისა და შვიის მომწიფებაზე და უზრუნველყონ მათი მოსავლის დროულად აღება, არ დაუშვან თესლის დაკარგვა სათესლე ნათესების მოსავლის აღებისას.

კენაფისა და შვიის სალაფნე ნათესების აღება აწარმოონ ტექნიკური სიმწიფის დადგომისას მასობრივი ყვავილობისა და კოლოფების შექმნის პერიოდში და დაამთავრონ იგი მოკლე ვადებში;

გ) ჯუტის მთელი ნათესები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1950 წელს გამოიყენონ სათესლე მიზნებისათვის;

დ) მოაწყონ 1950 წლის ივლისში კოლმეურნეთა მომზადება ახლად მოჭრილი კენაფისა და შვიის ღეროს მწვანე ლაფნად დამუშავებისათვის სათელავ-საჩეჩ მანქანა ნპ—9-ზე სამუშაოდ;

ე) მოსავლის აღების დაწყებამდე უზრუნველყონ ცხენისა და სატრაქტორო სათიბი და სამკალი მანქანების მოწყობა ჯუტის, კენაფის, შვიის ასაღებად და თავის დროზე მოამზადონ ღეროს გასაზიდავად და ლაფნის ქარხნებისათვის ჩასაბარებლად საჭირო სატრანსპორტო საშუალებანი;

ვ) უზრუნველყონ კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჯუტის, კენაფისა და შვიის ღეროს და თესლის ჩაბარების ვალდებულების შესრულება იმ ოდენობითა და იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით.

52. დაევალოს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1950 წლის 1 აგვისტომდე მოაწყოს იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც ლაფნის ქარხნებიდან 25 კილომეტრზე უფრო შორს მდებარეობენ, მისაღები პუნქტები ჯუტის, კენაფისა და შვიის ღეროს ჩასაბარებლად, უზრუნველყონ ჯუტის, კენაფისა და შვიის ღეროს დამზადების დაწყებამდე ყველა დამამზადებელი პუნქტი და ლაფნის ქარხანა ღეროს ხარისხთა სტანდარტების (ეტალონების) ნიმუშებით და გააცნონ ისინი ლაფნეული კულტურების მთესველ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

IX
თამბაქოს და წეკოს მოსავლის აღება და დამზადება

53. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას თამბაქოს და წეკოს მოსავლის თავის დროზე აღება და აუცილებლად შესრულდეს ამ კულტურების პროდუქციის დამზადების გეგმა, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს:

ა) უზრუნველყონ თამბაქოს და წეკოს ნარგავების გულდასმით მოვლა, მწკრივთაშორის მარგვლა და გაფხვიერება მთელ პერიოდში მოსავლის აღების დაწყებამდე, მცენარეთათვის ნამხარის შეცლა და თავის წაწყვეტა და ავადმყოფობასთან და მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა გატარება;

ბ) უზრუნველყონ არსებული საშრობი შენობების თავის დროზე შეკეთება, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ნაგებობათა გამოყენება თამბაქოსა და წეკოს საშრობად;

გ) წეკოს შრობის დასაჩქარებლად ჩაატარონ წეკოს მცენარეთა დახლეჩა მოსავლის აღების დაწყებამდე 3-4 დღით ადრე, არ დაუშვან მოჭრილი წეკოს მინდვრად დატოვება ერთ დღეზე მეტ ხანს და მისი შრობა ღია ადგილებზე;

დ) თამბაქოს ფოთლის კრეფა (მეტეხა) აწარმოონ 5-7-ჯერ, სრულ ტექნიკურ სიმწიფეში, არ დაუშვან ფოთლის გადამწიფება, აგრეთვე დაუმწიფებლის შეტეხა;

ე) თამბაქოსა და წეკოს მოსავლის აღება დაამთავრონ ყინვების დადგომამდე და სახელმწიფოსათვის ნედლეულის ჩაბარება — დაწესებულ ვადებში.

X
ქოქ-საღიზის მოსავლის აღება და დამზადება

54. ქოქ-საღიზის მთესველი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს 1950 წელს ქოქ-საღიზის თესლისა და ფესვის უხვი მოსავლის მიღება და ქოქ-საღიზის თესლისა და ფესვის დამზადების სახელმწიფო გეგმების აუცილებლად შესრულება, რისთვისაც მათ:

ა) მოაწყონ ქოქ-საღიზის ნათესების გულდასმით მოვლა მწკრივთა შორის მარგვლა და გაფხვიერება სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში;

ბ) უზრუნველყონ ქოქ-საღიზის თესლის დროულად აღება ორწლიან და ერთწლიან პლანტაციებში და თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ თესლის დამზადების გეგმის აუცილებლად შესრულება; ქოქ-საღიზის თესლის მასობრივი აღების პერიოდში მეკაუჩუკე ბრიგადებისა და რგოლების დასახმარებლად დამატებით გამოყენებულ იქნან ამოებნი ამ კოლმეურნეობების შრომისუნარიან კოლმეურნეთა და მოზარდთაგან;

გ) ქოქ-საღიზის ფესვის ამოღება ორწლიან პლანტაციებში ყველგან შეასრულონ თესლის კრეფის დამთავრებისთანავე, რათა ფესვის ამოღებისა და დამამზადებელ პუნქტებში მოსავლის ჩაბარების ყველა სამუშაო დაამთავრონ არაუგვიანეს 1950 წლის 15 აგვისტოსი. ერთწლიან ნათესებში ქოქ-საღიზის ფესვის ამოღება დაამთავრონ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, გარდა უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ რაიონებისა, სადაც ამოღება დაამთავრონ 1 ნოემბრისათვის. დამამზადებელ პუნქტებში სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად ქოქ-საღიზის ფესვის გატანა ყველგან დაამთავრონ არაუგვიანეს 1 ნოემბრისა;

დ) ქოქ-საღიზის ნათესების მოვლის, თესლის აღებისა და ფესვის ამოღების პერიოდში აიკრძალოს მეკაუჩუკეობის ბრიგადებსა და რგოლებში მომუშავე კოლმეურნეების გამოყენება სხვა სამუშაოზე, რომლებიც დაკავშირებული არ არის ქოქ-საღიზის მოყვანასთან.

55. დაევალოს ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეამოწმოს დამამზადებელი პუნქტების მზადყოფნა ქოქ-საღიზის ფესვისა და თესლის მიღებისათვის და უზრუნველყოს ქოქ-საღიზის თესლისა და ფესვის თავის დროზე და შეუფერხებლად მიღება და კოლმეურნეობების მიერ ჩაბარებული პროდუქციისათვის მათთან ანგარიშის თავის დროზე გასწორება.

დამზადებათა სამინისტრომ უზრუნველყოს მარცვლეულის (ხორბლის) შემხვედრი მიყიდვა ქოქ-საღიზის თესლის ჩამბარებელი კოლმეურნეობებისათვის დადგენილი წესით.

XI
კარტოფილის და ბოსტნეულის მოსავლის აღება და დამზადება

56. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს:

ა) უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესების დროულად მოვლა-გამარგვლა, მწკრივთაშორისი დამუშავება, მიწის შემოყრა და გაფხვიერება, მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებანი და რწყვა სარწყავ ნაკვეთებზე;

ბ) მოამზადონ კარტოფილის აღებისათვის და მთლიანად გამოიყენონ კარტოფილის ასაღები ყველა არსებული ტრაქტორით მომუშავე მანქანა, თვითეული მანქანისათვის დააწესონ მოსავლის აღების დავალება, აგრეთვე 1950 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყონ ბოსტნეულისა და კარტოფილის საცავთა რემონტი და დეზინფექცია;

გ) დაამთავრონ კარტოფილის აღება რსფს რესპუბლიკის ჩრდილოეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში, ყაზახეთის სსრ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა, ხოლო დანარჩენ რაიონებში—ყინვების დაწყებამდე, მოაწყონ დღის განმავლობაში ამოთხრილი მთელი კარტოფილის ყოველდღიური აღება, გაშრობა და გადატანა დამამზადებელ პუნქტებში და შესანახავ ადგილებთან. კარტოფილის აღების შემდეგ გადახნან აღებული ნაკვეთები და აკრიფონ ტუბერები.

57. დაევალოს დამზადებათა სამინისტროს, ცენტროსოიუზს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებას ეწევიან, აგრეთვე ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს:

ა) უზრუნველყონ 1950 წლის 1 ივლისისათვის მუდმივი და დროებითი დამამზადებელი პუნქტების, სასწორებისა და სხვა ინვენტარის მომზადება კარტოფილისა და ბოსტნეულის შეუფერხებელი მიღებისა და გაგზავნისათვის და არა უგვიანეს 1950 წლის 1 სექტემბრისა დაამთავრონ კარტოფილისა და ბოსტნეულის შესანახავი საწყობების მომზადება.

კარტოფილის და ბოსტნეულის მასობრივი აღების დროისათვის მოაწყონ დამამზადებელი პუნქტების სადღეღამისო მუშაობა;

ბ) არა უგვიანეს 1950 წლის 1 სექტემბრისა სასოფლო რაიონებსა და კოლმეურნეობებს მიამაგრონ ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც კარტოფილს სახელმწიფო გეგმით იღებენ, და დაუწესონ მათ კარტოფილის თავიანთი ტრანსპორტით გაზიდვისა და ზამთრისათვის შენახვის დავალებანი.

XII
სათესლე ნაკვეთებისა და სათესლე ბალახების მოსავლის აღება

58. ჩაითვალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოთა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის უზრუნველყოფა სათესლე ნაკვეთებზე მოყვანილი საკუთარი ჯიშიანი თესლით, აგრეთვე თესლის სადაზღვევო და გარდამავალი ფონდების დადგენილი ოდენობით შექმნა.

აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები არ იღებენ საჭირო ზომებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი მაღალხარისხოვანი ჯიშიანი თესლით უზრუნველყოფისათვის და შემწყნარებლობით ეკიდებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელის სხვისშემყურეობის განწყობილებას, რომლებიც იმედს ამყარებენ თესლის სახელმწიფო რესურსებიდან მიღებაზე. ასეთი პრაქტიკა იწვევს მარცვლეულისა და სხვა კულტურების თესლის ზედმეტად გადატანას ადგილიდან ადგილზე, მატერიალური და ფულადი სახსრების უნაყოფო ხარჯვას, ხოლო ადგილობრივ პირობებთან შეუგუებელი ჯიშის თესლის თესვა იწვევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის შემცირებას, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მუშაობის შედეგების შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა სათესლე ნაკვეთებზე მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ბალახების საკუთარი გადარჩეული ჯიშიანი თესლით. ჩაითვალოს, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმა წარმატებით შეასრულეს მხოლოდ იმ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, რაიონებმა, ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა, რომლებმაც პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულებასთან ერთად მთლიანად უზრუნველყვეს თავიანთი თავი საკუთარი თესლით საშემოდგომო და საგაზაფხულო თესვისათვის, აგრეთვე დადგენილი ოდენობით გამოჰყვეს თესლის სადაზღვევო და გარდამავალი ფონდები.

59. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს:

ა) მოსავლის აღების დაწყებამდე 10 დღით ადრე მაინც ყველა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში მოაწყონ იმის შემოწმება, თუ რამდენად სწორად არის გამოყოფილი ნატურით და გაფორმებული სათესლე ნაკვეთები თვითეული კულტურისათვის დაწესებული ოდენობით. იმ შემთხვევებში, როცა სტიქიურ უბედურებათა გამო სათესლე ნაკვეთების მოსავალი ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობის მოთხოვნილებას თესლის მხრივ, ან როცა აპრობაციის მონაცემების მიხედვით სათესლე ნაკვეთების მოსავალი გამოუსადეგარი აღმოჩნდება სათესლედ, დაშვებულ იქნას რაიაღმასკომის ნებართვით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სათესლე ნაკვეთების გამოყოფა კანონით დადგენილი ოდენობით პირველ რიგში დარაიონებული

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1950 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ

(დასასრული)

ჯიშების საერთო ნათესთა საუკეთესო, უფრო მოსავლიანი ნაკვეთების ხარჯზე. სათესლე ნაკვეთების შეცვლა მოხდეს 5 დღით ადრე მაინც სათანადო კულტურის მოსავლის აღების დაწყებამდე;

ბ) კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ნაკვეთების მოსავლის თესლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ სათესლე ნაკვეთების ნათესის პირველ რიგში და გულდასმით მოვლა ვეგეტაციის პერიოდში თვით მოსავლის აღებამდე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სარეველა ბალახებთან, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლას, ფართოდ გამოიყენონ სათესლე ნაკვეთებზე ნათესის გაწმენდა კულტურულ მცენარეთა ძნელად მოსაშორებელი მინარევებისა და სხვა ჯიშებისაგან, აგრეთვე დამატებითი კვება მინერალური და ადგილობრივი ორგანული სასუქით;

გ) უზრუნველყონ სათესლე ნაკვეთებზე მოსავლის მოკლე ვადებში და სხვა ნათესების მოსავლისაგან ცალკე აღება, როცა თესლი სავსებით მომწიფდება; მოსავლის აღებისთანავე მოაწყონ თესლის გალეწვა, გაწმენდა და შრობა, აგრეთვე მისი აქტით ჩაბარება შესანახავად მეკუჭნავისათვის, კულტურებისა და ჯიშების მიხედვით ჩაბარებული სათესლე მასალის რაოდენობისა და ხარისხის აღნიშვნით;

დ) აიკრძალოს სათესლე ნაკვეთებზე აღებული სათესლე მარცვლეულის გამოყენება რაიმე სხვა მიზნისათვის, გარდა სათესლედ გამოყენებისა, დაწესდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სათესლე ფონდების დაცულობისა და შენახვის სისწორის მკაცრი კონტროლი და სათესლე მარცვლეულის გაფუჭებასა და განიავებაში ან მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში დამნაშავე პირები მიცემულ იქნან სასტიკ პასუხისგებაში;

ე) უზრუნველყოფილ იქნას მეთესლეობის რაიონულ მეურნეობებში მარცვლეულის პირველ რიგში და მაღალხარისხოვნად აღება, გალეწვა და გაწმენდა მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

60. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ წელს მრავალწლიანი და ერთწლიანი სათესლე ბალახების მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღება და თვითეული კოლმეურნეობის მიერ 1950 წელს ბალახების თესლის დამზადების სახელმწიფო გეგმის აუცილებლად შესრულება დაწესებულ ვადებში. ამ მიზნით:

ა) მოეწყოს მრავალწლიანი და ერთწლიანი სათესლე ბალახების ჯეროვანი მოვლა და დაშვებულ არ იქნას მათი გათიბვა თივად;

ბ) უზრუნველყოფილ იქნას ბალახების თესლის მოსავლის დროულად აღება, გალეწვა, გამოფშვნა და გაწმენდა, რათა მათ გათიბვას დასჭირდეს არა უმეტეს 3-4 დღისა, ხოლო თესლის გალეწვას, გამოფშვნასა და გაწმენდას — არა უმეტეს 20 დღისა სათესლე ბალახების თიბვის დაწყებიდან; სათესლე ბალახების აღებისა და გამოფშვნისათვის საჭირო რაოდენობით გამოიყოს კომბაინები, სალეწები და სხვა მანქანები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ სათანადო მოწყობილობა.

61. სათესლე ბალახების აღებისა და გალეწვის სამუშაოთა ჩატარებაში კომბაინერებისა და მემანქანეების დაინტერესების გადიდების მიზნით, 1950 წლისათვის დატოვებულ იქნას შრომის ანაზღაურების ის წესი, რომელიც 1949 წელს მოქმედებდა:

ა) კომბაინერებს თვითეული აღებული ჰექტარი მრავალწლიანი სათესლე ბალახები ჩაეთვალოს 5 ჰექტარ მარცვლეულ კულტურებად;

ბ) რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს დამატებით საზღაურად მისცენ ბალახის თესლის გალეწვასა და გამოფშვნაზე მომუშავე მემანქანეებს, თუ მუშაობის ხარისხი კარგია, ყოველ გალეწილ, გამოფშვნილ და გაწმენდილ ცენტნერ სამყურისა ან იონჯის თესლში 1,5 კილოგრამი მარცვლეული.

იმ მემანქანეებს, რომლებიც მუშაობენ მრავალწლიანი ბალახების მხოლოდ გალეწვაზე ან გამოფშვნაზე, გარდა ესპარცეტისა, თვითეულ ცენტნერ გალეწილ ან გამოფშვნილ და გაწმენდილ თესლში მისცენ ერთი კილოგრამი მარცვლეული, ხოლო ესპარცეტის თესლისათვის 500 გრამი მარცვლეული ცენტნერში.

62. არასწორად ჩაითვალოს მთელ რიგ ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში შემოღებული პრაქტიკა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მორიგეობით ჩატარებისა, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში, როცა ბევრი კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა არ აწარმოებს ისეთ უმნიშვნელოვანეს სამუშაოებს, როგორიცაა ანეულის დამუშავება, ტყის ნარგავების მოვლა, ნაწვერალის აოშვა, საშემოდგომო ხვნა, გვიანი კულტურების მოვლა და მზრალად ხვნა.

დაევალოს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს აღკვეთონ ასეთი არასწორი პრაქტიკა სამუშაოთა მოწყობისა მოსავლის აღების პერიოდში და მხედველობაში იქონიონ, რომ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვილ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს ამ ტექნიკის სწორი გამოყენების დროს სრული შესაძლებლობა აქვთ, მოსავლის აღების წარმატებით მოწყობასთან ერთად, აწარმოონ სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც.

63. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, დამამზადებელი ორგანოებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ღონისძიებანი მიმართონ იმისაკენ, რომ დროულად იქნას მომზადებული და წარმატებით მოეწყოს მოსავლის აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება, და მხედველობაში იქონიონ, რომ მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის დროულად შესრულება და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საკუთარი თესლით უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში.

საბჭოთა მშენებლობა

სესიის მნიშვნელობის შეუფასებლობის შედეგი

მშრომელთა დეპუტატების ბათუმის რაიონული საბჭოს მორიგი სესია, რომელიც 9 ივნისს შედგა, როგორც გამოირკვა, სათანადოდ არ იყო მომზადებული. ჯერ-ერთი, რაისაბჭოს 33 დეპუტატიდან სესიაზე მხოლოდ 24 დეპუტატი მოვიდა, ისიც ძლიერ დაგვიანებით, რამაც სესიის მუშაობის დაწყება თითქმის ერთი საათით დააგ- [illegible]

[illegible] სიის მიხედვით ტრიბუნაზე გაიწვიეს, იძულებული გახდა ეთქვა ორიოდე სიტყვა, ისიც ზოგადი და მიკიბულ-მოკიბული.

კამათში გამოვიდა სულ 9 ამხანაგი, მათ შორის მხოლოდ სამი იყო დეპუტატი. სესიაზე განსახილველი მნიშვნელოვანი საკითხის მომზადებაში დეპუტატებს არავითარი მონაწილეობა არ [illegible]

[illegible]

დ. პაპავა

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და სსრ კავშირის 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენებაზე

დეპუტატ ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის სიტყვა

(თელავის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ ოთხმა წელმა განვლო. ეს შედარებით მცირე პერიოდი აღინიშნა მეტად დიდი მნიშვნელობის ამბებით როგორც საერთაშორისო ცხოვრებაში, ისე ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ომისშემდგომ წლებში, სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, გაწეულია უდიდესი მუშაობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა ხალხმა მოიპოვა შესანიშნავი გამარჯვებანი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. გაიზარდა და განმტკიცდა ჩვენი სოციალისტური კულტურა. განუწყვეტლივ მაღლდება საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონე. ყველა ეს წარმატება შედეგია კომუნისტური პარტიის ბრძნული პოლიტიკისა, შედეგია ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობისა. (ტაში).

ჩვენ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ფინანსთა მინისტრის ამხ. ზვერევის მოხსენება სსრ კავშირის 1950 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1948 და 1949 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესა- [illegible]

[illegible]

ძმური მეგობრობის გრძნობა, რომელიც მტკიცედ აკავშირებს ერთ ოჯახად ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში, მათი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის პირობების შექმნაში თვალსაჩინო როლი ეკუთვნის დიდ რუს ხალხს, რომლის დიდ ძმურ დახმარებას მუდამ გრძნობს ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი და რომელმაც ღირსეულად მოიპოვა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

ომისშემდგომი პერიოდის შესანიშნავ მიღწევას წარმოადგენს მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული სახელმწიფოების ბანაკის გაძლიერება და სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება კაპიტალიზმის საზიანოდ. სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის განმტკიცება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, დიდი ჩინელი ხალხის გამარჯვება ფეოდალური რეაქციისა და მსოფლიო იმპერიალიზმის ძალებზე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ხალხთა ბრძოლაში თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილებისა და სოციალური სამართლიანობისათვის.

საბჭოთა კავშირის წარმატებებმა, მისი ეკონომიური ძლიერების ზრდამ განუსაზღვრელად აამაღლა სსრ კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ამასთან ერთად ეს წარმატებანი იწვევენ სოციალიზმის ქვეყნისადმი გაბოროტებასა და სიძულვილს იმპერიალისტური რეაქციის ბანაკში. იმპერიალისტები აქოწოწებენ აგრესიულ ბლო- [illegible]

[illegible]

კავშირის საბჭოში

[illegible]

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

კავშირის საბჭოში

(დასასრული)

ნი გეგმის შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

დეპუტატი შუბინი აკრიტიკებს ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების, მათ შორის ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო საშტატო კომისიის მუშაობას, რომლებიც საკმაოდ არ იბრძვიან შტატების გაბერვის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის გზათა მინისტრმა ბ. პ. ბეშჩევმა განაცხადა, რომ საბჭოთა რკინიგზელები წარმატებით იბრძვიან ტრანსპორტის მუშაობის მაღალი მაჩვენებლებისათვის—ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის, ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის.

საბჭოთა ტრანსპორტი წლითიწლობით იზრდება. მრეწველობა იძლევა ახალ მოძრავ შემადგენლობას, რომელიც შეესაბამება თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნებს. მრავალი მილიარდი მანეთი კაპიტალური დაბანდება ხმარდება ახალი მაგისტრალების, ხიდების, ვაგზლების, რკინიგზელთა ბინების მშენებლობას, რკინიგზის კვანძების ელექტროფიკაციასა და რეკონსტრუქციას.

ამხ. ბეშჩევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრანსპორტის საშუალებათა რაციონალური გამოყენება მოითხოვს შემხვედრ და სხვა არასაწარმოო ტვირთზიდვის სრულ ლიკვიდაციას.

დეპუტატმა ზ. ა. ლებედევამ (მოსკოვი) თავისი გამოსვლა მიუძღვნა დედაქალაქში ჯან-...

მუშათა, კოლმეურნეთა და საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებულ შრომაზე. საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე აქ განვითარდა სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგი. კრასნოდარის მხარე ჩვენს ქვეყანას აძლევს ნავთსა და ნავთის პროდუქტებს, ხე-ტყესა და ცემენტს, ლითონსაჭრელ დაზგებსა და რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს (?) ... ხელსაწყოებს, განთქმულ ყუბანურ ხორბალს და ბრინჯს, ბამბასა და თამბაქოს, ხილსა და ჩაის, კანაფსა და მზესუმზირას ზეთს, მეცხოველეობის პროდუქტებსა და სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს. მხარეში წარმატებით ვითარდება მრეწველობის ახალი დარგები — შალეულის ნაწარმის, ქსოვილების, კომპრესორებისა და სხვ. წარმოება.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაში. უკვე შარშან გადაჭარბებულ იქნა მარცვლეულის, მზესუმზირას და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლის ომამდელი დონე.

კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების მუშებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა დაისახეს ამოცანა — შეასრულონ ტყის გაშენების გეგმა დაწესებულ ვადაზე ათი წლით ადრე.

დეპუტატი ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი (საქართველოს სსრ) კმაყოფილებით აღნიშნავს სოციალიზმის ქვეყნის ომისშემდგომ წარმატებებს, მისი ეკონომიური ძლიერების ზრდას. იზრდება დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის სათავეში მდგომი საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი. ამხ. ჩხუბიანი-...

მშვიდობის საიმედო ბურჯის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საწინდარი.

...

ეროვნებათა საბჭოში

...

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარის სიინო ეცურის განცხადება

ფხენიანი, 12 ივნისი. (საკდესი). როგორც აქ შეიტყეს, 9 ივნისს გაიმართა საგანგებო სხდომა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოსი, რომელმაც იკისრა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და სამდივნოს ფუნქციები მას შემდეგ, რაც კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შემადგენლობა კანონგარეშე გამოაცხადეს.

სხდომის დამთავრების შემდეგ კომპარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარემ სიინო ეცურომ გაზეთ „აკახატას“ კორესპონდენტებს შემდეგი განუცხადა:

„1. ჩვენი პარტიის დღენის საკითხი.

წარმოიშვა მეტად მცდარი ტენდენცია—ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისა და გაზეთ „აკახატას“ ხელმძღვანელი მუშაკების წმენდა გაგებულ იქნას, როგორც საშინაო და საგარეო რეაქციის ძალების მნიშვნელოვანი განმტკიცების დადასტურება. მაგრამ, თუ ობიექტურად განვიხილავთ იმას, რაც ხდება, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ მტკიცებას კომპარტიის წმენდის შედეგად საშინაო და საგარეო რეაქციის განმტკიცების შესახებ აბსოლუტურად არავითარი საფუძველი არ მოეპოვება. მთელ მსოფლიოში და უწინარეს ყოვლისა აზიის ყველა რაიონში შექმნილი მდგომარეობა მოწმობს საერთაშორისო მონოპოლისტური კაპიტალის პოლიტიკის კრახს, აგრეთვე მნიშვნელოვან სიძნელეებს, რომლებსაც იგი წააწყდა იაპონიის საშინაო ცხოვრებაში. კერძოდ, კომპარტიის ჩახშობა იმას მოწმობს, რომ იოსიდას კაბინეტი ჩიხში მოემწყვდა. მთავრობა ამ ჩახშობის გზას დაადგა ახალი ომის მომზადებისა და იაპონიის კოლონიზაციისათვის. ამასთან ომის მზადება და იაპონიის კოლონიზაცია იწვევს უმუშევრობასა და ხალხის მასების გაღატაკებას. ისტორია გვასწავლის, რომ ხალხის მასების მსხვერპლზე აგებული გეგმები გარდუვალად მარცხდება.

ასეთ ვითარებაში ჩვენ არაფერი არ უნდა შევუშინდეს მტრისა, არამედ გაბედულად, მასებ-...

მაგრამ არჩევნების დროს ჩვენი საქმიანობაზე შეიძლება ითქვას, რომ ... დამოუკიდებლობისა და მშვიდობის პროპაგანდის ფართოდ განვითარებისა, კავშირი მცირე ხელფასის, შრომის ინტენსიფიკაციისა და მძიმე გადასახადების საკითხებში მასების კონკრეტულ მოთხოვნებსა და ყოველდღიურ ბრძოლას შორის საკმაო არ იყო. ყოველდღიური ბრძოლის უგულებელყოფა ყველაზე დიდი ჩვენი ნაკლი იყო. და ამიტომ პროპაგანდამ, რომელსაც ჩვენ ვეწეოდით, ვერ დასახა კლასობრივი მუშაობის გზები, ესე იგი მასებს ვერ განუმარტა მათი კონკრეტული ამოცანები და, უფრო მეტიც, მთლიანად ვერ შეასრულა პარტიისათვის ხმის მიცემის მოძრაობის ორგანიზაციის ამოცანები. ამის შედეგად ჩვენი საარჩევნო ბრძოლა არ გაირჩეოდა სოციალისტური პარტიის პროპაგანდისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, თვით პროპაგანდის შინაარსს არაკონკრეტული, აბსტრაქტული, ზოგადი ხასიათი ჰქონდა.

მასებისათვის ძნელი იყო გარკვეულად გაემიჯნათ ჩვენი პარტიისა და სოციალისტური პარტიის მოთხოვნები, რის შედეგადაც დავკარგეთ სულ ცოტა 3 მილიონი ხმა, რომლებიც სოციალისტურმა პარტიამ მიიღო.

ჩვენი მეორე ნაკლი ის არის, რომ უგულებელვყოფდით ტაქტიკას ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობის დაცვის მისაღწევად მასების ორგანიზაციის საკითხებში. მაგალითად, მთელი ყურადღება მივაქციეთ სტრატეგიულ მიზნებს და უგულებელვყავით ტაქტიკური ამოცანები.

მაგრამ ზემოგანხილული ორი ტენდენცია არა მარტო საარჩევნო ბრძოლის დროს დაშვებული ნაკლია, არამედ პრაქტიკულად ისინი ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობის ნაკლია. ჩვენი პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ამჟამად უნდა იყოს ამ ნაკლოვანებათა სრული აღმოფხვრა. ამ მიზნით ჩვენ მთლიანად უნდა გამოვიყენოთ თეორიისა და პრაქტიკის ყველა მიღწევა, რომლებიც მოპოვებულ იქნა ...

...

რაც პარტიამ მრჩეველთა პალატის წარსულ არჩევნებში მიიღო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს ხმები თავისი ხასიათით უფრო ძლიერია.

... მარჯვენასაკენ.

ჩვენ მთელი პარტიისა და მუშათა კლასის გადამწყვეტი ბრძოლის იმედი გვაქვს“.

ამერიკის ავიაციის აქტივობა ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში

ნიუ-იორკი, 15 ივნისი. (საკდესი). ამერიკის პრესის ცნობების მიხედვით, უკანასკნელ ხანს გახშირდა ამერიკის თვითმფრინავთა ფრენა ჩრდილოეთ პოლუსის რაიონში. როგორც გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ იუწყება, ეილსონის (ფერბენქსის მახლობლად, ალასკაზე) საავიაციო ბაზიდან ამერიკის საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა უკვე მოახდინეს 300-ზე მეტი გაფრენა ჩრდილოეთ პოლუსზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

მშობლები ნათელა, არჩილ, ბებია ქუჩუ, ბაბუა გრიგოლ, ბებია ქსენია ესაკია, თამარ და შალვა ბაქრაძეები იუწყებიან პატარა ზურაბ გოცირიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-VI, 8 ს. გამოსვენება 18-VI, 2 ს. დავითაშვილის, 4.

მშობლები დავით და ლუბა ჩარკვიანები, მეუღლე თამარ ესაიაშვილი, და ელენე ჩარკვიანი იუწყებიან, რომ 18-VI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ხერგო დავითის-ძე ჩარკვიანის პანაშვიდი.

ელენა, ქეთო ჯანუაშვილები, ბიჭიკო გოცირიძე, ვერა, ლენა ქებაძეები ოჯახებით იუწ-...

რესპუბლიკური სამშენებლო ტრესტის „საქმშენის“ მე-3 სამშენებლო კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ გ. გაბატაძეს მისი ძმის ვლადიმერ ბესარიონის-ძე გა-...

...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. კოლხიდაშვილს მისი მამის გრიგოლ ესტატეს-ძე კოლხიდაშვილის გარდაცვალების გამო.

ბებია ნინო, დეიდები ვალია, ზინა, ნადია, ბიცოლა იისა, ბიძები ფ. მენთეშაშვილი და შ. ცხვედიანი იუწყებიან, რომ 18-VI, 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ლიანა შალვას ასულ ხაჭაპურიძის პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მთრიგისა და გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორისა—3-77-76

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03391